

ოქმი N2

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხოზი

2021 წლის 29 დეკემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 26 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხოზის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხოზის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხოზის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა და „ხოზის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 - 2025 წლების პრიორიტეტების და პროგრამების გაცნობის შესახებ“

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხოზის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხოზის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

3. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

9. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

10. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

11. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგობის ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

12. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართვლობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: გ. იოსავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,
ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი);

13. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

14. ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

15. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

16. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასაბუღალტრო ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

17. ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

18. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი);

19. „ქალაქ ხობის ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის
მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების
კომისიის თავმჯდომარე);

20. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო -
საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ადანაია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების
შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების
პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების
შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №17
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 66835 ლარით შემცირდა „შრომის ანაზღაურება“ მუხლის თანამდებობრივი სარგოს ასიგნება და გაიზარდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „ჯილდოს“ ასიგნება. ამავდროულად გაიზარდა ბიუჯეტის შემოსულობები 491200 ლარით, სარეზერვო ფონდი შემცირდა - 30,0 ათასი ლარით, რის საფუძველზეც ბიუჯეტის შემოსულობები - განისაზღვრა 18 403,6 ათასი ლარით, გადასახდელები - 21 497,5 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ტრანზფერი - 8161,2 ათასი ლარით, სარეზერვო ფონდი - 53,7 ათასი ლარით, ფინანსური აქტივების კლება - 3 093,9 ათასი ლარით. გამომსვლელის განცხადებით, დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 3 (ჯ. ჯიშკარიანი, ვ. ფოცხორაია, ფ. წურწუმია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N16 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა და „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 - 2025 წლების პრიორიტეტების და პროგრამების გაცნობის შესახებ“

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ და ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 - 2025 წლების პრიორიტეტები და პროგრამები

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მიესალმება საჯარო მოხელეების სახელფასო სარგოების გაზრდას, თუმცა არასწორია ის ფაქტი, რომ თითქმის არ გაზრდილა შპს-ში და ა(ა)იპი-ებში დასაქმებული პირების ხელფასები, არადა მათ ისედაც მიზერული ხელფასები ჰქონდათ, მითუმეტეს ქვეყანაში უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციაა. რაც შეეხება კომუნალურების (დასუფთავების გადასახადი) ამოღებას მოსახლეობიდან, ამას სჭირდება ისეთი სისტემა, რომელიც გააუმჯობესებდა გადახდის ხარისხს, რისთვისაც საჭირო იყო სპეციალისტების მოწვევა და შესაბამისი საჭირო ღონისძიებების გატარება. ტექნოლოგიის გაუმჯობესებას თავიდან 30,0 ათასი ლარი სჭირდება, რომელიც გულისხმობს შესაბამის ქსელში ჩართვას, სმს სატელეფონო შეტყობინებას, რის საფუძველზეც ცივილურად განხრციელდებოდა ტანხის გადახდა აპარატებით. რაც შეეხება ქალაქში არსებულ უპატრონო ძაღლების სიმრავლეს, ამაზე წლებია საუბრია და ვერა და ვერ მოგვარდა არსებული პრობლემა, რაზედაც ბიუჯეტში დიდი თანხებია გათვალისწინებული, რომელიც მისი აზრით ტყუილად იხარჯება - განაცხადა მ. იოსავამ.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებით საჯარო მოხელეებს 10%-ით გაეზარდათ ხელფასები, ასევე მოხელეები სახელფასო კოეფიციენტების კატეგორიებში, სხვადასხვა ბადეში იყვნენ მოქცეული, ამჯერად მოექცნენ ერთიან ბადეში და გასწორდა არსებული პრობლემა. ხოლო რაც შეეხება ა(ა)იპი-ებში მომუშავე პირებს, მათაც გაეზარდათ ხელფასი 100-100 ლარით, შეიძლება ეს თანხა დიდი არ არის, თუმცა სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით მაინც უკეთესია და შესაძლებლობის ფარგლებში კიდევ შეიძლება მომატება. მოსახლეობიდან ნაგვის გატანის მომსახურების დასუფთავების თანხის ამოღება, ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება მოთხოვნის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს იურიდიული პირებიდან. ქალაქში ძაღლების

მომრავლება, მართლაც არის დიდი პრობლემა, რომელიც დროულად არის მოსაგვარებელი - განაცხადა დ. ჭოჭუამ.

ლ. ქავთარაძე, მ. ქარდავა - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ ქალაქში ძაღლების მომრავლებასთან დაკავშირებული პრობლემა წლებია არსებობდა, მაგრამ ვერადა ვერ მოგვარდა დღემდე არსებული პრობლემა. მათი განცხადებით მერიის შესაბამის სამსახურთან და შესაბამის სპეციალისტებთან ერთად უნდა იმსჯელონ და გადაწყვიტონ, თუ როგორ მოაგვარონ არსებული პრობლემა, რათა მოსახლეობას არ შეექმნას ქალაქში გადაადგილების პრობლემა, გამომდინარე იქიდან, რომ იყო არა ერთი შემთხვევა მაწანწალა ძაღლების მიერ მოქალაქეების დაკბენის.

ნ. შუმნია - გამომსვლელებმა შეკითხვით მიმართა, მერიის შესაბამის სამსახურებს, რომ შესაძლებელი იყო თუ არა, საბავშვო ბაღებში მომუშავე მასწავლებლებისთვის და ძიძგებისთვის, ერთჯერადად გაეცათ ხელფასის ოდენობის პრემია ან დანამატი, რადგანაც მათ ჰქონდათ ყველაზე დაბალი ხელფასები.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელებმა განაცხადა, რომ მასობრივად ყველა მოსამსახურეზე პრემიის და ჯილდოს გაცემის წინააღმდეგი იყო, მაგრამ შესაძლებელი იყო გარკვეულ კატეგორიაზე დამსახურების მიხედვით ჯილდოს გაცემა. საერთოდ ბაღებში მასწავლებლის ხელფასები დაბალი იყო და უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ამჯერად ბიუჯეტი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

მ. ქარდავა - განმარტა, რომ საბავშვო ბაღებში უფასო კვების დაფინანსებისთვის, ძალიან დიდი თანხები მიდის ბიუჯეტიდან, რის გამოც ვერ ხერხდება ამ ეტაპზე ხელფასების ზრდა.

დ. გაბუნია - განაცხადა, რომ უფასო კვება იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ მასწავლებლებს ხელფასები არ გაზრდოდათ.

დ. ბუკია - მუნიციპალიტეტის მერი - გამომსვლელებმა განაცხადა, რომ ა(ა)იპი-ებში გამოყენებულ იქნა წახალისების ფორმა და გაიცა ერთჯერადად ფულადი ჯილდო, ხოლო რაც შეეხება სახელფასო სარგოს გაზრდას, იმოქმედებენ იმის შესაბამისად ბიუჯეტი რის საშუალებასაც მისცემდათ.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელებმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის საფუძველზეც ბიუჯეტის შემოსავალი

განისაზღვრა 13.121.800 ლარით; ხარჯი - 11.069.000 ლარით; შემოსულობები - 13.682.500 ლარით, აქედან: არაფინანსური აქტივების კლება 560.700 ლარი; გადასახდელები - 13.682.500 ლარით; გადასახადები 9.916.000 ლარით, აქედან: ქონების გადასახადი 4.000.000 ლარით, დღგ 5.916.000 ლარით. წინა წელთან შედარებით ქონების გადასახადი შემცირებულია 800.000 ლარით და დღგ გაზრდილია 1.198.000 ლარით; გრანტი 2.235.000 ლარით, აქედან მიზნობრივი ტრანსფერი - 235.000 ლარი, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25.000 ლარით, ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად - 2.000.000 ლარი; ხარჯები: შრომის ანაზღაურება გაიზარდა წინა წელთან შედარებით 1.445.300 ლარით, სუბსიდია 5.267.700 ლარი წინა წელთან შედარებით გაზრდილია 709.900 ლარით; სარეზერვო ფონდი 90.000 ლარით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 1 (მ. იოსავა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუმი, ვ. ფოცხორაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N17 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტით დაკორექტირდა, როგორც საკრებულოს

თანამდებობის პირების, ასევე საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები, რომელიც მოექცა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი თანამდებობისთვის განსაზღვრულ კოეფიციენტებში და სახელფასო კოეფიციენტების ერთი კატეგორიის ფარგლებში. ზემო აღნიშნული კოეფიციენტები შესაბამისობაშია „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგოსთან. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 1 (მ. იოსავა)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუშია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია, ბ. მამაცაშვილი)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N18 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 საკითხებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N14 დადგენილებით, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების დასახელებები შეიცვალა, ნაწილი კომისიებისა გაერთიანდა და ნაწილი გაიყო, რამაც გამოიწვია მათი ფუნქციების ახალ დებულებაში ასახვის აუცილებლობა, ამასთან საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შეიცვალა კომისიის თავმჯდომარის არჩევის წესი. აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ , „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუმი, ვ. ფოცხოვრია, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N19 ოქმს თან ერთვის)

5. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუშია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N20 ოქმს თან ერთვის)

6. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუშია, ვ. ფოცხორაია, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N21 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუშია, ვ. ფოცხორაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N22 ოქმს თან ერთვის)

8. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
თანამომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 18 დეკემბრის N64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუმი, ვ. ფოცხორაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N23 ოქმს თან ერთვის)

9. „ხოზის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხოზის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხოზის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხოზის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხოზის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი), წარმოდგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილების თანახმად, მუნიციპალიტეტის მერიას მიენიჭა ქარსაფარი ზოლის მართვისა და განკარგვის წესების დამტკიცების უფლებამოსილება საკრებულოს თანხმობით. აღნიშნული ცვლილების მერიის დებულებაში ასახვის მიზნით, მერიის მიერ მომზადა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუშია, ვ. ფოცხორაია, მ. იოსავა, ნ. შუშანია, ი. ზაქარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N24 ოქმს თან ერთვის)

10. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი), წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიის ადმინისტრაციულ სამსახურში ხორციელდება სტრუქტურული რეორგანიზაცია, კერძოდ ადმინისტრაციულ სამსახურში იქმნება ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, რამაც გამოიწვია ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების ფუნქციებში ცვლილება, გამომდინარე, იქედან, რომ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი დაქვემდებარებული იყო საორგანიზაციო განყოფილებას. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუშია, ვ. ფოცხორაია, მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N25 ოქმს თან ერთვის)

მე-10 საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო კიდეც 10 საკითხი და შემოვიდა წინადადებით 20 წუთიანი შესვენების გამოცხადების თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას საკრებულოს სხდომაზე 20 წუთიანი შესვენების გამოცხადების თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 22 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 22, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: ლ. ალანია, ნ. ბოკუჩავა, მ. ჩარტია, ჯ. ჯიშკარიანი, ფ. წურწუშია, ვ. ფოცხორაია, მ. იოსავა)

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 20 წუთით.

შესვენების შემდგომ რეგისტრაცია გაიარა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 23 წევრმა

11. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, მერიის საშტატო ნუსხაში ადმინისტრაციულ სამსახურს ემატება 1 განყოფილება (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება) 3 საშტატო ერთეულით. გარდა საშტატო ნუსხაში განსახორციელებელი ცვლილებისა. დადგენილების პროექტით ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2 ახალი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის საკითხიც, რომლის საფუძველზეც 2022 წლის 1 იანვრიდან ახალი ადმინისტრაციული ერთეულებისთვის გასათვალისწინებელია არანაკლებ 4 საშტატო ერთეულისა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის, მათ შორის 2 საშტატო ერთეული - გაღმა საჯიჯაოს და შუა ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების თანამდებობის სახით და ასევე 2 საშტატო ერთეული - ამავე ადმინისტრაციულ ერთეულებში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული სხვა პირებისთვის („საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვიდან გამონაღლის დაშვების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროდან მიღებული სათანადო რეკომენდაცია). დადგენილების პროექტით ასევე რეგულირდება მერიაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ოდენობა და იგი ექცევა როგორც უშუალოდ შესაბამისი თანამდებობებისთვის განსაზღვრული კოეფიციენტების, ასევე სახელფასო კოეფიციენტების ერთი კატეგორიის ფარგლებში, ამასთან პროექტით გათვალისწინებულია „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საბაზო თანამდებობრივი სარგო. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N26 ოქმს თან ერთვის)

12. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: გ. იოსავა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,

ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი)

მოისმინეს: გ. იოსავა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარეს (ბ. მამაცაშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ბ. მამაცაშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით: ა) საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გაღმა საჯიჯაოში ცენტრიდან მდინარე ხობისწყლის ხიდამდე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბ) ქ. ხობში N3 სასაფლაოსთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გ) ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში პაპანწყვირეს ტბასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. საკრებულოს მიერ წინადადების მოწონების შემდეგ საკითხი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის უნდა წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. საქართველოს მთავრობის ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, ამ დადგენილებით განსაზღვრული პროექტების ინიცირება იწყება წინადადების მოწონების თაობაზე

საკრებულოს გადაწყვეტილებით, რისთვისაც ამ ეტაპზე მომზადდა განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N41 ოქმს თან ერთვის)

13. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დროული იყო სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა „ამწე კალათას“ შექმნა, რათა დროულად მოხდეს ქალაქში თუ სოფლებში გარე განათებების მოვლა-შენახვა. იქვე მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება სპეციალური დანიშნულების ავტომანქანა „ამწე კალათა“ რომლის ღირებულება შეადგენს 144786 ლარს. მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე, აღნიშნული ავტომანქანა გადაეცეს შპს „ხოზი დასუფთავება და განათება“-ს, რაზედაც სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხოზის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N42 ოქმს თან ერთვის)

14. „ხოზის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხოზის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხოზის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური

განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხოზის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. ქართია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ქონება რომელიც სრულად ამორტიზირებულია და უვარგისია ექსპლოატაციისათვის, აუდიტორული დასკვნების შესაბამისად ექვემდებარება ჩამოწერას. ჩამოსაწერია 7 ერთეული კონდენციონერი, 7 ერთეული კომპიუტერი, ორი ერთეული მონიტორი, ორი ერთეული შავ-თეთრი პრინტერი. რაზედაც მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ქონების ჩამოწერაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N43 ოქმს თან ერთვის)

15. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოდგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი რომელიც შეადგენდა 587330 ლარს, შემცირდა 4070 ლარით (გადატანილ იქნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში) და გაიზარდა 20583 ლარის ოდენობით (გაიზარდა ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლი) შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 603843 ლარის ოდენობით. მერიის განმარტებით 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსების, 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების და ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლებში გამოყოფილი თანხა მომართვიანობიდან გამომდინარე არასაკმარისი აღმოჩნდა. ამავე პროგრამის გარკვეული მუხლების ეკონომიების (28020 ლარი) ხარჯზე მოხდა საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსების (15000 ლარი), 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების (8950 ლარი) მუხლების ბიუჯეტის ოდენობის გაზრდა და თანხის (4070 ლარი) გადატანა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში, ხოლო „ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების“ მუხლი 2021 წლის 10-17 სექტემბრის სტიქიით (ძლიერი ქარი და წვიმა) მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით გაიზარდა ხობის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 20583 (ოციათას ხუთასოთხმოცდასამი) ლარის ოდენობით. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილებები განხორციელდა ქვემოთ მითითებულ მუხლებში, კერძოდ: შემცირდა 28020 ლარი მუხლში:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად

საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შემენის მუხლი 3150 (სამიათას ასორმოცდაათი) ლარით.

2. დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარების მუხლი 3900 (სამიათას ცხრაასი) ლარით.

3. უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში თავშესაფარში მოთავსებამდე, ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადის დახმარების მუხლი 2650 (ორიათას ექვსასორმოცდაათი) ლარით.

4. შშმ პირთა და ონკოლოგიურ დაავადებაზე საექვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) დაფინანსების მუხლი 3000 (სამიათასი) ლარით.

5. 200 ათასი და ნაკლები სარეიტინგო ქულით სოციალურად დაუცველი, მარტოხელა მოხუცების შინმშვლის თანადაფინანსებს მუხლი 4800 (ოთხიათას ორასი) ლარით.

6. სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა) ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ საცხოვრებელი ფართის დაქირავებას (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში) მუხლი 3950 (სამიათას ცხრაასორმოცდაათი) ლარით.

7. 0-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (კომუნალური ხარჯების) თანადაფინანსების მუხლი 6570 (ექვსიათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

გაიზარდა 44533 ლარით მუხლები:

1. საოპერაციო (გადაუდებელი და გეგმიური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, სათანადო საბუთების წარმოდგენისას, ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე, მხოლოდ პაციენტის მიერ გადაუხდელი თანხის მიხედვით (300 ლარი და ზემოთ) (ერთჯერადად) მუხლი გაიზარდა 15000 (თხუთმეტიათასი) ლარით.

2. 0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარების მუხლი გაიზარდა 8950 (რვაათასცხრაასორმოცდაათი) ლარით.

3. ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარების მუხლი გაიზარდა 20583 (ოციათას ხუთასოთხმოცდასამი) ლარით.

4070 ლარი გადატანილ იქნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ბიუჯეტში 4070 ლარი.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და

ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2021 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N44 ოქმს თან ერთვის)

16. „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოდგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებით უმწეოთა

სასადილოში დასარეგისტრირებელ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა შეადგენდა 135 ბენეფიციარს. ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში ბენეფიციართა მაღალი მომართვიანობიდან და შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა 2022 წლიდან ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 150-მდე ნაცვლად 135-სა, რაზედაც მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტში უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ივლისის №35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0,

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N45 ოქმს თან ერთვის)

17. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების,

კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 567 700 ლარით, რაც 2021 წლის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 59600 ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის ღონისძიებებს ახალი მუხლი არ დამატებია, მაგრამ 2021 წლისგან განსხვავებით, პროგრამის გარკვეულ მუხლებში გასაცემელი დახმარების ოდენობები გაიზარდა, კერძოდ:

ა) უმწეოთა სასადილოს ბენეფიციართა რაოდენობა განისაზღვრა 150 ბენეფიციარის ოდენობით ნაცვლად 135-სა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 100000 ლარის ოდენობით ნაცვლად 87000 ლარისა.

ბ) მრავალშვილიანთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა 250 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 24000 ლარის ოდენობით ნაცვლად 16000 ლარისა.

გ) დახმარება ახალშობილთა ოჯახების მე-3 და მე-4 შვილზე განისაზღვრა 300 ლარის ოდენობით ნაცვლად მე-3 და მე-5-სი და მე-5 და ზემოთ 500 ლარი ნაცვლად მე-6 და ზემოთ 600 ლარისა.

დ) დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა 27 000 ლარის ოდენობით, ნაცვლად 2880 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია ბოლო სამი წლის დინამიკიდან გამომდინარე ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ).

ე) დევნილის დაკრძალვის ხარჯების ოდენობა განისაზღვრა 250 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 4500 ლარის ოდენობით ნაცვლად 3000 ლარისა.

ვ) დახმარება ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის განისაზღვრა 1950 ლარის ოდენობით ნაცვლად 2100 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ).

ზ) სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად

საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებლად, ცემენტის და ბლოკის შეძენის დახმარების ბიუჯეტი განისაზღვრა 80000 ლარის ოდენობით ნაცვლად 40000ლარისა. (ცვლილება გამოიწვია წინა წლის მომართვიანობის დინამიკამ).

თ) 8 აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა 250 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1750 ლარის ოდენობით ნაცვლად 1800 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ).

ი) აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა 250 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 2500 ლარის ოდენობით ნაცვლად 3400 ლარისა. (ცვლილება გამოიწვია ბენეფიციართა რაოდენობის შემცირებამ).

კ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმპ-თა ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა 250 ლარის ოდენობით, ნაცვლად 200 ლარისა და შესაბამისად აღნიშნული მუხლის ბიუჯეტი განისაზღვრა 1750 ლარის ოდენობით ნაცვლად 1400 ლარისა.

ლ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარების ოდენობა განისაზღვრა 7500 ლარის ოდენობით ნაცვლად 4500 ლარისა. (ოჯახში ძალადობის სტატისტიკის გაზრდის შედეგად)

მ) შშმ პირთა და ონკოლოგიურ დაავადებაზე საექვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) დაფინანსებაის ოდენობა განისაზღვრა 15150 ლარის ოდენობით ნაცვლად 18000 ლარისა.

გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N46 ოქმს თან ერთვის)

18. „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: შ. კანკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვას: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა მერიის შესაბამის სამსახურს, მიმდინარე წელს მიმართა თუ არა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქემ და მოხდა თუ არა მათი დახმარება?

შ. კანკია - გამომსვლელის განცხადებით, მერიის შესაბამის სამსახურს მიმართა 13-მა დაზარალებულმა მოქალაქემ, რომლებსაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება.

მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა დიალექტზე მყოფი რამდენი მოქალაქე ყავდათ აღრიცხვაზე და რატომ წარმოიშვა იმ მუხლში ეკონომია?

შ. კანკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ წინასწარ ყოველთვის, დიალექტზე მყოფ მეტ მოქალაქეზეა გათვლილი დახმარება, რადგანაც ხომ ვერ გათვლიან წინასწარ, თუ რამდენი დაემატება აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეს. მიმდინარე წელს არ დამატებია აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს და გამომდინარე აქედან მოხდა თანხის შემცირება.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის მიზნით ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც ხობის მუნიციპალიტეტის

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 45240 ლარის ოდენობით. გამომსვლელის განცხადებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადებული განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N47 ოქმს თან ერთვის)

19. „ქალაქ ხობის ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ქალაქ ხობის ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა ფეხბურთის გულშემატკივართა განცხადება, სადაც ისინი ითხოვდნენ ხობის ცენტრალური სტადიონისთვის სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკის, წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, მწვრთნელის და საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ყოფილი თავკაცისა და პრეზიდენტის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭებას. საკრებულოს შესაბამისი კომისიის მიერ მოძიებულ იქნა დოკუმენტაცია და იმდროინდელი პრესის მასალებიც, რომლითაც დასტურდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პ. თათარიშვილს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ხობში ფეხბურთის განვითარების საქმეში, ის თავადაც თამაშობდა ხობის „კოლხეთში“ თავდამსხმელის პოზიციაზე და წლების განმავლობაში ძირითადად ლიდერის პოზიციას ინარჩუნებდა, შემდეგ კი გუნდის თავკაცი გახდა და ამ პერიოდშიც არაერთ გამარჯვებას მიაღწია გუნდმა, 1988 წელს ხობის „კოლხეთი“ საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხოლო წინა და მომდევნო წლებშიც ჩემპიონატში ღირსეულად ეჭირა მეორე ადგილი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-

16 მუხლის მეორე ნაწილის „პ“ პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საკითხი გადაეგზავნა გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიას, საიდანაც მიღებული თანხმობის შემდეგ კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ქალაქ ხობში ცენტრალური სტადიონისთვის პაატა თათარიშვილის სახელის მინიჭების თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით 2016 წლიდან მიდის მსჯელობა შესაბამის უწყებებთან და მიესალმება პროცესის დასრულებას, აღნიშნა, რომ პაატა თათარიშვილს მართლაც დიდი წვლილი მიუძღვის ხობში ფეხბურთის განვითარებაში და ღირსია მისი სახელი მიენიჭოს ქალაქ ხობის ცენტრალურ სტადიონს. მცირეოდენი შესავლის შემდეგ, მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N48 ოქმს თან ერთვის)

20. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის

შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ განხორციელებული ცვლილების თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარეს დაემატა პირველი მოადგილის თანამდებობა, რომლისთვისაც წარმოდგენილი განკარგულების პროექტით განისაზღვრება სატელეფონო ხარჯი 30 ლარის, ხოლო საწვავის (ბენზინი) ხარჯი 250 ლიტრის ოდენობით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის საწვავის (დიზელი) ლიმიტი განისაზღვრება 200 ლიტრის ოდენობით, ნაცვლად 190 ლიტრისა. საკრებულოს აპარატის უფროსისთვის განსაზღვრულ ლიმიტში, მისი წინადადების საფუძველზე შედის ცვლილება საწვავის (ბენზინი) ლიმიტი განისაზღვრება 150 ლიტრით, ნაცვლად 210 ლიტრისა. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსების საწვავის ლიმიტები განისაზღვრება თითოეულის 50 ლიტრის ოდენობით, ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 23, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N49 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ, სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ მიულოცა საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მიღება,

მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და თითოეულს უსურვა წარმატებები, როგორც პირად, ასევე სამსახურეობრივ საქმიანობაში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე



ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს
წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. მედეა თათარიშვილი
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ლევანი ლიპარტია
8. ბექა მამაცაშვილი
9. აკაკი მალანია
10. ზადრი რიყამაძე
11. მალხაზი იოსავა
12. მზია ლემონჯარია
13. ქეთევან კვირიკაშვილი
14. დიტო ხასია
15. ჯანსული ჯიშკარიანი
16. ფრიდონი კუკავა
17. ნუგზარი შუმანია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. სერგო ბერაია
22. გიორგი გვასალია
23. ბექა ხარბედია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. ფელიქსი წურწუმია
26. ირაკლი ზაქარაია